



WWW.APA.GE



## პროექტი „გურიის ეროვნული პარკის დაფუძნება“

### მცირე გრანტების კონკურსი

### ობიექტის მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებისთვის

გურიის უნიკალური ბუნების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით ახორციელებს პროექტს "გურიის ეროვნული პარკის შექმნა".

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ცხადდება მცირე გრანტების კონკურსი. მცირე გრანტების კონკურსს ადმინისტრირებას გაუწევს „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი“ რომელიც 1995 წლიდან აქტიურად არის ჩართული გურიის რეგიონის განვითარებაში.

საგრანტო განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 15 მაისი 18:00 საათი.

### მცირე გრანტების პროგრამის მიმართულებები

მცირე პროექტების პროგრამა ხელს შეუწყობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სოფელში (სამეზობლოებში) არსებული პრობლემების გამოვლენა გადაჭრაზე, თემის ეკონომიკურ გაძლიერებაზე. მაგალითად: თემებში არსებული ინფრასტრუქტურების (საბავშვო ბაღები, სკოლა, ამბულატორია, მუზეუმი) და საჯარო სივრცეების კეთილმოწყობა, გარემოსდაცვა, ტურიზმის განვითარება, მდინარის ადიდებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება, უნიკალური წყაროების ან/და ადგილების გამოვლენა/დაფიქსირება, თემების წევრების ეკონომიკური გაძლიერება კოოპერაციით და სხვა.

### კონკურსში მონაწილეობაზე უფლებამოსილი პირები ან ორგანიზაციები

მცირე გრანტების კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობაა საგრანტო აქტივობების განხორციელება ობიექტის მუნიციპალიტეტის შემდეგ თემებში: ლიხაური, მაკვანეთი, შემოქმედი, ცხემლისხიდი, ვაკიჯვარი, მთისპირი.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აღნიშნულ თემებში არსებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს, კოოპერატივებს ან საინიციატივო ჯგუფებს.

მცირე გრანტები არ გაიცემა კერძო ინვესტიციებსა თუ ბიზნეს ორგანიზაციებზე.

### პროექტების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

მთლიანი საგრანტო ფონდი შეადგენს 18000 ევროს შესაბამის თანხას ლარებში.

სულ დაგეგმილია მინიმუმ 1 გრანტის გაცემა.

წარმოდგენილი პროექტების განხორციელების მინიმალური ვადაა 1 თვე და მაქსიმალური 6 თვე.

ბიუჯეტის ზედა ზღვარია 18000 ევროს ექვივალენტი ლარებში.

## **შერჩევის პროცესი**

ობიექტური და არადისკრიმინაციული შერჩევის პროცესის უზრუნველსაყოფად პროექტებს განიხილავს საგრანტო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისგან: „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი“ – 1 წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის – 2 წარმომადგენელი (საკრებულო, მერია), პროექტის სამუშაო ჯგუფის 2 წარმომადგენელი;

საგრანტო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოხდება პროექტის შერჩევის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. შედეგების გამოცხადება მოხდება საჯაროდ, კონკურსის ჩატარების დღეს;

კონკურსი ჩატარდება 2022 წლის 18 მაისს, კონკურსის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ აპლიკანტებს ინფორმაცია მიეწოდებათ 5 დღით ადრე.

კონკურსის დღეს აპლიკანტებს შესაძლებლობა ექნებათ თავად წარადგინონ თავიანთი პროექტები, ჟურისა და დამსწრეთა წინაშე.

## **შერჩევის კრიტერიუმები**

საგრანტო კომისია შეარჩევს ისეთ პროექტებს, რომლებიც შესაბამისობაში მოდის მცირე გრანტების მინიმუმ ერთ მიმართულებასთან.

*პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:*

1. საპროექტო განაცხადი შესაბამისობა საგრანტო პროგრამის მიმართულებებთან- 5 ქულა
2. პრობლემის აღწერის მკაფიოობა და მისი აქტუალობის დასაბუთება – 10 ქულა
3. პროექტის განხორციელების გზები რეალისტურია და პირდაპირ კავშირშია პროექტის ამოცანებთან -15 ქულა
4. პროექტების შედეგების მდგრადობა მკაფიოდ არის დასაბუთებული-5 ქულა
5. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები ნათლადაა გააზრებული და რისკების აცილების სტრატეგია წარმოდგენილია - 10 ქულა
6. ბიუჯეტი არის დეტალიზებული და ნათლად არის წარმოდგენილი თითოეული ხარჯის გაანგარიშების საფუძვლები- 10 ქულა

## **თანხების გამოყენება**

პროექტის ფარგლებში შესაძლოა დაიფაროს შემდეგი ტიპის ხარჯები:

- ხელფასები – მთლიანი ბიუჯეტის 10 %;
- ექსპერტების დაქირავების ჰონორარებს;
- პუბლიკაციები, სატრენინგო მასალები;

- კვლევები;
- სატრანსპორტო ხარჯები;
- ცხოვრებისა და სამივლინებო თანხები;
- საკომუნიკაციო და ადმინისტრაციული ხარჯები;
- აღჭურვილობა, ინვენტარი და საქონელი;
- ტრენინგები და სემინარები;
- მცირე რემონტი;
- სოფლის ინფრასტრუქტურის განახლება;
- სხვა პირდაპირი ხარჯები დაკავშირებული პროექტის განხორციელებასთან;

## შეზღუდვები და აკრძალული ხარჯები

კონკურსის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი სახის ხარჯები:

- დანაკარგი ან პოტენციური სამომავლო დავალიანებები;
- სტიპენდიები;
- მიწის ან შენობების შესყიდვა;
- საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯები,
- ვალუტის გაცვლისას დანაკარგები;
- საჯარო მოხელეებისთვის ხელფასის გაცემა;
- ავტომობილები;
- აპარატურა რომლის ღირებულება აღემატება 5000 ლარს;
- ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც შეადგენს ბიუჯეტის 10% მეტს.

## პროექტის შედეგების შეფასება

პროექტების განხორციელების პროცესში „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი“ ჩაატარებს რეგულარულ მონიტორინგს. აპლიკანტებმა მიმდინარე რეჟიმში უნდა წარმოადგინონ პროექტის განხორციელების პროგრამული და ფინანსური ანგარიშები.

## აპლიკაციის გაგზავნის პროცედურა

საგრანტო განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 15 მაისი 18:00 საათი.

განაცხადი წარმოდგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- *საპროექტო წინადადება (თანდართული ფორმის მიხედვით)* – 1 ამობეჭდილი ასლი;
- *სამუშაოთა დროის განრიგი (დანართი 1-ის მიხედვით)* – 1 ამობეჭდილი ასლი;
- *ბიუჯეტი (შედგენილი ლარებში, დანართი 2-ის მიხედვით)* – 1 ამობეჭდილი ასლი;
- პროექტის გუნდის საკვანძო წევრთა CV-ები – 1 ამობეჭდილი ასლი;

ან ელექტრონული სახით ელ. ფოსტაზე: [yscozurgeti@gmail.com](mailto:yscozurgeti@gmail.com):

პროექტის ფორმები შეგიძლიათ იხილოთ პროექტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე: <https://www.facebook.com/GuriaPark> ან დაგვიკავშირდით და მოგანოდებთ ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით ჩვენი ფასილიტატორების მეშვეობით.

### **საკონსულტაციო შეხვედრები:**

„ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - პროგრესის სახლი“ ჩაატარებს საკონსულტაციო შეხვედრებს, რათა უზრუნველყოს აპლიკანტებისთვის პროექტების მომზადების პროცესში მაქსიმალური მხარდაჭერა. კონსულტაციები გაიმართება თემების ადმინისტრაციულ შენობებში, შემდეგი გრაფიკით:

- 27 აპრილი - ლიხაური, 12.00 საათი;**
- 27 აპრილი - მაკვანეთი, 14.00 საათი;**
- 28 აპრილი - შემოქმედი, 16.00 საათი;**
- 28 აპრილი - ცხემლისხიდი, 12.00 საათი;**
- 29 აპრილი - ვაკიჯვარი, 14.00 საათი;**
- 29 აპრილი - მთისპირი 16.00 საათი.**

დაინტერესებულ პირებს ასევე შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - პროგრესის სახლში“, მის. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11ა.